ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNDP
Empowered lives
Resilient nations.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი

შუალედური ანგარიში

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ონლაინ მედიის მონიტორინგის

შუალედური ანგარიში

18 ივნისი - 15 ოქტომბერი

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

თბილისი, 2018

პროექტის შესახებ: „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი“ - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, აკვირდება ქართული ონლაინ მედიის მიერ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2018 წლის 18 ივნისს და დასრულდება 2018 წლის ნოემბერში.

დაკვირვება ხორციელდება შემდეგ ონლაინ გამოცემებზე: ambebi.ge, interpressnews.ge, ipress.ge, liberali.ge, marshalpress.ge, netgazeti.ge, news.ge, on.ge, palitravideo.ge, reportiori.ge, tabula.ge.

კვლევის მეთოდოლოგია: მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდება როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რა სიხშირით შუქდება ესა თუ ის სუბიექტი შერჩეულ მედიასაშუალებაში და თუ რა ტონით შუქდება აღნიშნული სუბიექტი. თვისებრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რამდენად იცავს შერჩეული მედიასაშუალება ჟურსალიტური ეთიკის ნორმებს, როგორებიც არის: გადამოწმებული და დაზუსტებული ფაქტების გაშუქება, ჟურნლისტის ტერმინოლოგია, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, საკითხების გონივრული ბალანსის დაცვით გაშუქება, ვიზუალური, აუდიო, ან რაიმე სხვა სახის მანიპულაცია, ჟურნალისტთა მხირიდან ფაქტებით გამყარებული მსჯელობა და დასკვნები და ა.შ. მონიტორინგი ხორციელდებოდა ყველა შერჩეული მედიასაშუალების ყველა სტატიაზე მონიტორინგის დაწყების დღიდან მის დასრულებამდე.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი **ძირითადი მიგნებები**:

- ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილი ახარხებს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მეტ-ნაკლებად ობიექტურად და მიუკერძოებლად გაშუქებას;
- ონლაინ მედიაში ნაკლებად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები. ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილი ცდილობს და ახერხებს ელემენტარული ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვას;
- ქართულ ონლაინ მედიაში აქტიურად შუქდება პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური ძალისა და პრეზიდენტობის კანდიდატის საქმიანობა;
- ონლაინ მედიის ერთ-ერთ უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს საკითხების ზედაპირული გაშუქება. ონლაინ გამოცემების დიდი უმრავლესობა ძირითადად დაკავებულია პოლიტიკოსთა განცხადებებისა და ყოველდღიური საქმიანობის გაშუქებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობს საკითხების სიღრმისეულ ანალიზს;
- ონლაინ გამოცემებში თითქმის არ გვხვდება სოციალური და ეკონომიკური საკითხების სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზი. იშვიათად შუქდება საქართველოს რეგიონებში არსებული პრობლემები. რეგიონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ

უმეტესად შუქდება წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყება თუ დასრულება და საგულისხმოა, რომ აღნიშნული სტატიები ხშირ შემთხვევებში დაფინანსებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ;

- ონლაინ მედიაში თითქმის საერთოდ არ გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან ვებსაიტებზე გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმების მცდელობა. უმეტეს შემთხვევებში, პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა განცხადებები ვრცელდება უკომენტაროდ და შესაბამისი გადამოწმების გარეშე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავდება, როდესაც გადაუმოწმებლად ვრცელდება ამა თუ იმ პირის მიმართ მძიმე ბრალდებების შემცველი განცხადებები;
- ონლაინ გამოცემების დიდი უმრავლესობა სტატიებს ამზადებს ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით. შედეგად, მკითხველს არ ეძლევა საშუალება, რომ ცალკეულ სტატიებში გაეცნოს განსხვავებულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს;
- პრეზიდენტობის კანდიდატთა საქმიანობასაც ონლაინ გამოცემების უმრავლესობა აშუქებს ზედაპირულად და ძირითად ყურადღებას უთმობს მხოლოდ კანდიდატთა განცხადებებსა და ყოველდღიურ წინასაარჩევნო საქმიანობას. შედეგად, ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს მკითხველისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდებას პრეზიდენტობის კანდიდატთა ხედვებისა და კონკრეტული სამოქმედო გეგმების შესახებ;
- ქართული ონლაინ მედიის ერთ-ერთ უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. ვებსაიტების ნაწილი საერთოდ არ ურთავს რაიმე სახის მითითებას ასეთ სტატიებს. ნაწილი კი უთითებს, თუმცა არასათანადოდ.

ambebi.ge

მონიტორინგის პერიოდში ambebi.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ვებსაიტზე არ გამოვლენილა. პოლიტიკურ ძალებს შორის ambebi.ge-ზე ძირითადად მმართველი გუნდის საქმიანობა შუქდებოდა.

ambebi.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (30%) და „ქართული ოცნების (29%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნებისა“ (48%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (37%) გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე აქტიურად სალომე ზურაბიშვილი გაშუქდა. აღნიშნულ კანდიდატს დაეთმო ორჯერ მეტი გაშუქება ვიდრე პრეზიდენტობის ყველა სხვა კანდიდატს ერთად. პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ambebi.ge-ზე არ გვხვდება ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე სახელისუფლებო გუნდი და მათ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატი ბევრად უფრო აქტიურად შუქდება ვიდრე სხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები. სასურველია, რომ ონლაინ გამოცემამ მეტი ყურადღება დაუთმოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალისა და პრეზიდენტობის კანდიდატთა სათანადო სიხშირით გაშუქებას.





interpessnews.ge

მონიტორინგის პერიოდში interpressnews.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. გამოცემა საკმაოდ აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების საქმიანობას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ interpreesnews.ge-ზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სათანადოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

interpessnews.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (37%) და „ქართული ოცნების“ (27%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფით ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. საკმაოდ თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა. დადებითი ან უარყოფით ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები პრეზიდენტობის არც ერთი კანდიდატის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

interpressnews.ge-ზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. მონიტორინგისთვის შერჩეული არაერთი ონლაინ გამოცემისგან განსხვავებით interpressnews.ge მინიშნებას ურთავს სარეკლამო მასალებს, თუმცა, აღნიშნული მინიშნება მკითხველისთვის მარტივად გასაგები არ არის, რადგან მითითებები შესრულებულია ლათინური სიმბოლოებით (წრეში მოთავსებული „NS“, რომელთან კურსორის მიახლოების შედეგად იწერება “News from Subscriber”). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვებსაიტმა მსგავს სტატიებს დაურთოს ისეთი მინიშნებები, რომლებიც უფრო მარტივად გასაგები იქნება მკითხველისთვის.





ipress.ge

მონიტორინგის პერიოდში ipress.ge-ზე შედარებით ჭარბობდა დადებითი ტონის სტატიები მთავრობისა და, განსაკუთრებით, ადგილობრივი მთავრობების მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ipress.ge-ზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

ipress.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (29%) და „ქართული ოცნების“ (26%) საქმიანობა გაშუქდა. ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები ადგილობრივი მთავრობისა (44%) და მთავრობის (21%) გაშუქებისას. აღსანისნავია, რომ ipress.ge-ზე საკმაოდ ხშირად ქვეყნდება სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს რეგიონებში განხორციელებული წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რაც რეგიონული მმართვლობების საქმიანობას ცალსახად დადებითად წარმოაჩენს. უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. საკმაოდ თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა. პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას ჭარბობდა დადებით ტონის მაჩვენებლები.

ipress.ge-ზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების შესაბამისი მითითების გარეშე გამოქვეყნება. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ipress.ge-ზე შეგვხვდა უამრავი სტატია, რომელიც ანალოგიური ტექსტით მონიტორინგისთვის შერჩეულ სხვა ვებსაიტზე გამოქვეყნდა სარეკლამო მითითებით. მაგალითად, სტატიები „ბათუმობის დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო მიღება გაიმართა“ (1 სექტემბერი), „ქუთაისში ტანვარჯიშის სკოლასთან მისასვლელ გზაზე ასფალტის საფარი იგება“ (3 სექტემბერი) იგივე თარიღითა და იდენტური ტექსტით, სარეკლამო ნიშნის მითითებით გამოქვეყნდა interpessnews.ge-ზე. აუცილებელია, რომ ონლაინ გამოცემამ მკითხველისთვის მკაფიოდ გასაგებად მიუთითოს იმ სტატიებს, რომლებიც მომზადებულია რაიმე სახის კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში და რომლებიც არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სარედაქციო ნამუშევარს.





liberali.ge

მონიტორინგის პერიოდში liberali.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. მაღალ დონეზე იყო დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. liberali.ge გამოირჩეოდა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზით.

liberali.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (47%) და „ქართული ოცნების“ (19%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. საკმაოდ თანაბრად და მიუკერძოებლად გაშუქდა პრეზიდენტობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა. პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას მცირედით ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები.

წინასაარჩევნო პერიოდში liberali.ge-ზე აქტიურად შუქდებოდა ქვეყანაში არსებულ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული საკითხები. გამოცემა მკითხველს აწვდიდა ინფორმაციას პრეზიდენტობის კანდიდატთა კამპანიების ფინანსირების (მაგალითად, სტატია „შემწირველები და შემოწირულები - ვინ აფინანსებს საპრეზიდენტო კამპანიებს“, 4 ოქტომბერი) და ხედვების შესახებ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, სტატია „რას ფიქრობენ პრეზიდენტობის კანდიდატები ნარკოპოლიტიკაზე“, 12 ოქტომბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში liberali.ge ახერხებდა მკითხველისთვის სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდებას საარჩევნო გარემოსა და პრეზიდენტობის კანდიდატთა გეგმებისა და ხედვების შესახებ.





marshalpress.ge

მონიტორინგის პერიოდში marshalpress.ge-ზე ცალსახად შეინიშნებოდა ერთი მხრივ უაღრესად დადებითი განწყობა მმართველი გუნდისა და მათ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის, ხოლო მეორე მხრივ, უკიდურესად

უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოსა“ და ამ პარტიების პრეზიდენტობის კანდიდატების მიმართ. ონლაინ გამოცემა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა პოლიტიკოსისა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ პირთა უარყოფით და ხშირ შემთხვევებში, უკიდურესად შეურაცხმყოფელ განცხადებებს ოპოზიციური პარტიების მიმართ.

მონიტორინგის პერიოდში marshalpress.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (38%) და „ქართული ოცნების“ (25%) საქმიანობა გაშუქდა. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (82%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (66%) და „ევროპული საქართველოს“ (65%) გაშუქებისას. პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა გრიგოლ ვაშაძისა (66%) და დავით ბაქრაძის (64%) გაშუქებისას. დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი კი სალომე ზურაბიშვილს (45%) ერგო.

marshalpress.ge-ზე ცხადად შეინიშნება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ცალმხრივი და მიზანმიმართული, სისტემატური კრიტიკა. ხშირად არის წარმოდგენილი სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ გავრცელებული სიუჟეტები, სადაც წარმოდგენილია აღნიშნული პარტიების კრიტიკა. ასევე, ძალიან ხშირად გვხვდება საზოგადოებისთვის მეტად თუ ნაკლებად ცნობილ პირთა მიერ სოციალური ქსელით გავრცელებული განცხადებები, რომლებშიც წარმოდგენილია აღნიშნული პარტიებისა და მათი პრეზიდენტობის კანდიდატების, ხშირ შემთხვევებში საკმაოდ შეურაცხმყოფელი ფორმით, კრიტიკა (მაგალითად „მიშას ლაქია ვაშაძის პრეზიდენტად მოთრევა გახდა ერთადერთი ხავსი - ბუბა ხოტივარი“, 24 სექტემბერი; „ამ შედეგებით დაგსჯით ყველას - ეგღა მაკლია ულვაშიანმა, რუსეთში გამოკვებილმა სელაპმა მოიგოს!“, 2 ოქტომბერი; „წაიღეს ტვინი ამ თავისი ვიწრო პარტიული ინტერესებით... გნახეთ, რა ხვითოებიც ხართ!“ - სოფიო ხორგუანი“, 9 ოქტომბერი). აღსანიშნავია marshalpress.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიების სათაურებიც; მაგალითად: „ნაც. მოძრაობის მორიგი აბსურდული კამპანია დაიწყო“ (23 ივნისი); „ნაციონალური მოძრაობის“ აგრესიული სამოქმედო გეგმა“ (25 ივნისი); „ნაციონალები“ სკანდალსა და კრიზისზე მომართულ იაფ შოუებს დგამენ“ (25 ივნისი).

მონიტორინგის შედეგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ marshalprss.ge-ს მიზანი არა მოსახლეობის ინფორმირება, არამედ ერთი მხრივ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ამ პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის დისკრედიტაცია, მეორე მხრივ კი მმართველი გუნდისა და მათ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდაჭერაა.





netgazeti.ge

მონიტორინგის პერიოდში netgazeti.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. ვებსაიტი გამოირჩეოდა საკითხების, განსაკუთრებით საარჩევნო საკითხების, სიღრმისეული

და მრავალმხრივი ანალიზით. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნლისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

netgazeti.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობა (40%) და „ქართული ოცნება“ (19%) გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. საკმაოდ თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა. დადებითი ან უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები არც ერთი პრეზიდენტობის კანდიდატის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის პერიოდში netgazeti.ge გამოირჩეოდა საარჩევნო თემების სიღრმისეული გაშუქებით. ხშირად გვხვდებოდა სტატიები, რომლებშიც თავმოყრილი იყო პრეზიდენტობის სხვადასხვა კანდიდატის მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხის შესახებ (მაგალითად, „პრეზიდენტობის კანდიდატების ხედვები განათლების სისტემაზე“, 12 ოქტომბერი; „პრეზიდენტობის კანდიდატების პოზიციები პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ“, 12 ოქტომბერი; „პრეზიდენტობის კანდიდატების პოზიციები ლგბტქი პირთა უფლებების შესახებ“, 12 ოქტომბერი; „პრეზიდენტობის კანდიდატების პოზიციები ნარკოპოლიტიკაზე“, 12 ოქტომბერი). netgazeti.ge-ზე გვხვდებოდა ქვეყანაში არსებული საარჩევნო გარემოს სიღრმისეული ანალიზიც (მაგალითად, სტატიაში „რატომ არის გადაუწყვეტელი საქართველოს მოსახლეობის მესამედი არჩევნებამდე 3 თვით ადრე? “, 1 აგვისტო).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში netgazeti.ge ახერხებდა მკითხველისთვის სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდებას საარჩევნო გარემოსა და პრეზიდენტობის კანდიდატთა გეგმებისა და ხედვების შესახებ.





news.ge

მონიტორინგის პერიოდში news.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ news.ge-ზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

news.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (43%) და „ქართული ოცნების“ (25%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია, რომ გამოცემამ მმართველი გუნდის საქმიანობას დაუთმო თითქმის სამჯერ მეტი გაშუქება, ვიდრე მონიტორინგის ყველა სხვა სუბიექტს ერთად. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ადგილობრივი მთავრობის (42%) გაშუქებისას. news.ge-ზე საკმაოდ ხშირად ქვეყნდება სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს რეგიონებში განხორციელებული წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რაც რეგიონული მმართვლობების საქმიანობას ცალსახად დადებითად წარმოაჩენს. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სხვა სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. საკმაოდ თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა.

news.ge-ზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების შესაბამისი მითითების გარეშე გამოქვეყნება. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში news.ge-ზე შეგვხვდა არაერთი სტატია, რომელიც ანალოგიური

ტექსტით მონიტორინგისთვის შერჩეულ სხვა ვებსაიტებზე გამოქვეყნდა სარეკლამო მითითებით. მაგალითად, 26 მარტს სტატია „ბათუმში ახალაშენებულ კორპუსებში ბინა 164 დევნილ ოჯახს გადაეცემა“ ანალოგიური ტექსტით, ანალოგიური სათაურითა და თანდართული ფოტოსურათით გამოქვეყნდა ვებსაიტებზე news.ge და on.ge. news.ge-ზე აღნიშნული სტატია გამოქვეყნდა სარეკლამო მითითების გარეშე, on.ge-ზე კი შესაბამისი სარეკლამო მითითებით. 24 სექტემბერს news.ge-მ სარეკლამო მითითების გარეშე გამოაქვეყნა სტატია „აზეულას ციხესიმაგრე მხატვრულად განათდა“, interpressnews.ge-მ კი იმავე დღეს აღნიშნული სტატია, იდენტური ტექსტით, გამოაქვეყნა სარეკლამო მითითებით. აუცილებელია, რომ ონლაინ გამოცემამ მკითხველისთვის მკაფიოდ გასაგებად მიუთითოს იმ სტატიებს, რომლებიც მომზადებულია რაიმე სახის კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში და რომლებიც არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სარედაქციო ნამუშევარს.





on.ge

მონიტორინგის პერიოდში on.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ვებსაიტზე განსაკუთრებულად აქტიურად სალომე ზურაბიშვილი შუქდებოდა. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

on.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (43%) და „ქართული ოცნების“ (20%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არც ერთი პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში სალომე ზურაბიშვილს დაეთმო ორჯერ მეტი გაშუქება, ვიდრე პრეზიდენტობის ყველა სხვა კანდიდატს ერთად. აქტიურად და ობიექტურად შუქდებოდა აღნიშნული კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. მაგალითად, on.ge აქტიურად აშუქებდა სალომე ზურაბიშვილის კამპანიის ფინანსირების საკითხებს („არქის მფლობელმა და პარტნიორებმა სალომე ზურაბიშვილს 180000 ლარი შეწირეს“, 2 ოქტომბერი, „ექიმი, რომელმაც ზურაბიშვილს 20000 ლარი შესწირა, ამბობს, რომ მისი მხარდამჭერი არაა“, 8 ოქტომბერი, „ოქტომბერში სალომე ზურაბიშვილმა შემოწირულობის სახით 1,5 მილიონ ლარზე მეტი მიიღო“, 10 ოქტომბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ on.ge ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს მიმდინარე მოვლენებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე სახელისუფლებო გუნდის მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატი ბევრად უფრო აქტიურად შუქდება, ვიდრე სხვა კანდიდატები. სასურველია, რომ ონლაინ გამოცემამ მეტი ყურადღება დაუთმოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალისა და პრეზიდენტობის კანდიდატთა სათანადო სიხშირით გაშუქებას, რათა მკითხველს წინასაარჩევნო პერიოდში მიაწოდოს მეტად სრულყოფილი ინფორმაცია საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ on.ge ერთ-ერთი გამონაკლისი ონლაინ გამოცემაა, რომელიც სათანადოდ მიჯნავს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს სარედაქციო მასალებისგან.





palitravideo.ge

მონიტორინგის პერიოდში palitravideo.ge-ზე საარჩევნო საკითხები აქტიურად არ გაშუქებულა. ზოგადად, ვებსაიტის ფორმატიდან გამომდინარე, პოლიტიკური საკითხების გაშუქება ხდებოდა ფრაგმენტულად. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

palitravideo.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (47%) და „ქართული ოცნების“ (17%) საქმიანობა გაშუქდა. შედარებით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (52%) და „ევროპული საქართველოს“ (42%) გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არც ერთი პოლიტიკური პარტიის გაშუქებისას არ გამოვლენილა. პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის ყველაზე მეტი გაშუქება სალომე ზურაბიშვილს დაეთმო. აღნიშნული კანდიდატის გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები.

palitravideo.ge ინფორმაციას ძირითადად ვიდეომასალების საშუალებით ავრცელებს. ხშირ შემთხვევებში ვრცელდება ვიზუალურად მიმზიდველი მასალა. აღნიშნული ტენდენცია ვრცელდება პოლიტიკური პროცესების გაშუქებაზეც. შესაბამისად, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის პრეზიდენტობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა, ვრცელდება ფრაგმენტულად. რაოდენობრივ მონაცემებში გამოვლენილი უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებლებიც აღნიშნული ფორმატის შედეგია. palitravideo.ge-ზე არ შეინიშნება განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ.





reportiori.ge

მონიტორინგის პერიოდში reportiori.ge-ზე ცალსახად შეინიშნებოდა ერთი მხრივ დადებითი განწყობა მმართველი გუნდის, ხოლო მეორე მხრივ უკიდურესად უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ევროპული საქართველოსა“ და მათი პრეზიდენტობის კანდიდატების მიმართ. ვებსაიტზე სისტემატურად ირღვეოდა ჟურნალისტური ეთიკის

ნორმები. მოვლენები შუქდებოდა ცალმხრივად და ხშირად გვხვდებოდა დაუსაბუთებელი, მძიმე ბრალდებების გავრცელება ოპოზიციური პარტიებისა და მათი პრეზიდენტობის კანდიდატების მიმართ. ასევე, მონიტორინგის მოცემულ პერიოდში reportiori.ge-ზე გამოქვეყნდა ყალბი ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის შესახებ.

reportiori.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (39%) და „ქართული ოცნების“ (31%) საქმიანობა გაშუქდა. მმართველი გუნდის საქმიანობას დაეთმო დაახლოებით სამჯერ მეტი გაშუქება, ვიდრე მონიტორინგის ყველა სხვა სუბიექტს ერთად. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (90%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (83%) და ევროპული საქართველოს“ (77%) გაშუქებისას. პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე აქტიურად სალომე ზურაბიშვილის საქმიანობა გაშუქდა. აღნიშნული კანდიდატის გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები. ოპოზიციური პარტიების პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქებისას კი ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები.

reportiori.ge-ზე ცხადად შეინიშნება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოსა“ და მათი პრეზიდენტობის კანდიდატების ცალმხრივი და მიზანმიმართული, სისტემატური კრიტიკა. განსაკუთრებული სიხშირით ქვეყნდება საზოგადოებისთვის მეტად თუ ნაკლებად ცნობილ პირთა მიერ სოციალური ქსელით გავრცელებული განცხადებები, რომლებშიც წარმოდგენილია აღნიშნული პარტიების, ხშირ შემთხვევებში საკმაოდ შეურაცხმყოფელი ფორმით, კრიტიკა (მაგალითად „გია გაბრიჭიძე: გოგორიშვილი ბაყაყის თვალებს აყვარყვალებს, კახიძე ტელეფონით ვიღაცას ემესიჯება, ხოშტარია დუმს...“, 7 სექტემბერი; „დავით ლიუაშვილი „ნაციონალებს“: ვერც თქვენ და ვერც თქვენ პროპაგანდისტულ ტელევიზიას ვერაფერი გამოგივათ!“, 13 ოქტომბერი).

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში reportiori.ge-ზე გავრცელდა ყალბი ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის შესახებ. reportiori.ge-ზე 10 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატიის („აშშ-ში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტი სასტუმროს ნომერში მარიხუანის მოწევის გამო დააჯარიმეს“) მიხედვით, ამერიკული გამოცემის Washington Daily-ს ცნობით, საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ში ვიზიტის დროს სასტუმროში მარიხუანის მოწევის გამო დააჯარიმეს. გამოცემა Washington Daily ინტერნეტში საერთოდ არ იძებნება და შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა აღნიშნული გამოცემის არსებობა. პრეზიდენტის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელების გარდა, იმავე დღეს reportiori.ge-ზე გამოქვეყნდა ექსპერტ მამუკა არეშიძის განცხადება („მამუკა არეშიძე: პრეზიდენტის მთავარი ფუნქციაა ქვეყანას წარმოადგენდე ქვეყნის გარეთ“), სადაც რესპონდენტი ეხმაურება აღნიშნულ ფაქტს და აკრიტიკებს პრეზიდენტს შეუსაბამო საქციელის გამო. reportiori.ge-ს მხრიდან არ ჩანდა აღნიშნული ფაქტის სისწორის გადამოწმების არანაირი მცდელობა.





tabula.ge

მონიტორინგის პერიოდში tabula.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

განსაკუთრებულად აქტიურად შუქდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის საქმიანობა.

მონიტორინგის პერიოდში tabula.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (37%), „ქართული ოცნებისა“ (21%) და „ევროპული საქართველოს“ (9%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (48%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (31%) და „ქართული ოცნების“ (26%) გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

აქტიურად და მიუკერძოებლად შუქდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა. განსაკუთრებულად აქტიურად შუქდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის, საქმიანობა. აღნიშნულ კანდიდატს დაეთმო მინიმუმ ხუთჯერ მეტი გაშუქება, ვიდრე ნებისმიერ სხვა კანდიდატს. დადებითი ან უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები პრეზიდენტობის არც ერთი კანდიდატის გაშუქებისას არ გამოვლენილა.





დასკვნა

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ ონლაინ მედიაში იშვიათია ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილი ცდილობს და ახერხებს ელემენტარული ჟურნალისტური სტანდარტების დაცვას. ხშირ შემთხვევებში თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატთა საქმიანობაც. ვებსაიტების დიდ უმრავლესობაში არ შეინიშნება განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ.

ქართული ონლაინ მედიის უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს საკითხების ზედაპირული გაშუქება და კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა. ონლაინ გამოცემების დიდი უმრავლესობა ყურადღებას უთმობს მხოლოდ პოლიტიკოსთა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა განცხადებებსა და ყოველდღიურ საქმიანობას. ძალიან იშვიათად გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან თემების მოძიება, ფაქტების გადამოწმება, დამატებითი ინფორმაციის წყაროებთან დაკავშირება და ა.შ.

მსგავსი სტილით ხდება პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებაც. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილი მხოლოდ კანდიდატთა განცხადებებისა და

ყოველდღიური წინასაარჩევნო საქმიანობის გაშუქებით შემოიფარგლება და არ ცდილობს, რომ მკითხველს მიაწოდოს მეტად სრულყოფილი ინფორმაცია პრეზიდენტობის კანდიდატთა ხედვებისა და კონკრეტული გეგმების შესახებ.

ონლაინ მედიის ერთ-ერთ უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. ხშირად გვხვდება სარეკლამო სტატიები, რომლებსაც არ აქთ შესაბამისი, მკითხველისთვის მარტივად გასაგები, მინიშნება.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ონლაინ მედია ახერხებს მკითხველის ინფორმირებას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და საარჩევნო პროცესების შესახებ. თუმცა, ნაკლებად გვხვდება საკითხების სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზი.